

2014 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამა - ქართულ ენაში
(არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთათვის)

პროგრამის შინაარსი:

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება |
|----------------------|--|
| 1. ლექსიკოლოგია | სიტყვაწარმოება; კომპოზიციები; სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები; სიტყვათშესამებანი; ფრაზეოლოგიზმები. |
| 2. ორთოგრაფია | კომპოზიტთა მართლწერა; წარმოქმნილ სახელთა მართლწერა. |
| 3. მორფოლოგია | არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელის წარმოება, ზედსართავი სახელის ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნებში, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, მწკრივები და სერიები, ზმნის აქტიური და პასიური კონსტრუქციები, ქცევა, კონტაქტი, თავისებური ზმნები; სახელზმნები; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული. |
| 4. სინტაქსი | წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით; წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით (მარტივი, შერწყმული, რთული); წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; მსაზღვრელისა და საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. |
| 5. პუნქტუაცია | სასვენ ნიშანთა ხმარების წესები. |

საგნობრივი უნარ-ჩვევები:

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

1. პრაგმატული ხასიათის სხვადასხვა ტიპის მოკლე ტექსტების გაგება, რაც გულისხმობს:
 - საკომუნიკაციო სიტუაციის ამოცნობას (ავტორი, ადრესატი, კორესპონდენციის მიზანი – მილოცვა, მოწვევა, მადლობის გამოხატვა, შეთავაზება, შთაბეჭდილებების გაზიარება, ახსნა-განმარტება, თხოვნა, მოთხოვნა, გაფრთხილება, რეკომენდაცია/რჩევა და სხვა);
 - სათანადო კონკრეტული ფაქტობრივი ინფორმაციის (სად, რა, როდის, რამდენი, რატომ და სხვა) ამოკრებას;
 - რესპონდენტის ემოციების, დამოკიდებულებების, შეფასებებისა და თვალსაზრისების გაგებას;
 - ცალკეული მოქმედებებისა და მათი თანმიმდევრობის ამოცნობას.
2. სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების გაგება და გაანალიზება, რაც გულისხმობს:
 - მთავარი თემის/საკითხების გამოკვეთას;
 - ტექსტის ზედაპირზე მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობას (მაგ., მოქმედების დრო, ადგილი და სხვა);
 - ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების (ლოგიკური, ქრონოლოგიური) დადგენას;
 - ინფორმაციის ამოკრებას კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., მსგავსება-განსხვავება და სხვა);
 - ფაქტის, ვარაუდისა და სურვილის ერთმანეთისაგან გამიჯვნას.
3. ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტების გაგება, რაც გულისხმობს:
 - მოვლენათა დროისა და ადგილის განსაზღვრას, მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენას;
 - ამბის მთხრობლის, პერსონაჟების ამოცნობას;
 - ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით პიროვნების დახასიათებას.
4. თხრობითი ხასიათის მხატვრული ტექსტების გაგება და გაანალიზება, რაც გულისხმობს:
 - ტექსტის/მისი ცალკეული მონაკვეთის ზოგადი შინაარსის ამოცნობას (მაგ., კონკრეტული ინფორმაციის – ვინ, რა, სად, რატომ, რა მიზნით და სხვა – დასახელებას);
 - მთხრობლის, პერსონაჟების ამოცნობას;
 - მოვლენათა თანმიმდევრობის ამოცნობას;
 - პერსონაჟთა საქციელის მოტივის ახსნას და შეფასებას;
 - დამოკიდებულებებისა და ინტერესების ამოცნობას;
 - პერსონაჟთა დახასიათებას და მათ შორის არსებული ურთიერთობების შესახებ დასკვნების გამოტანას ტექსტის ზედაპირზე მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და შინაარსის გააზრების საფუძველზე;
 - სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ამბის მსვლელობა, დასასრული) გამოყოფას;
 - ნაწარმოების ძირითადი თემის ამოცნობას.
5. საგაზეთო პუბლიკაციების გაგება, რაც გულისხმობს:
 - პუბლიკაციებში კორესპონდენტის/რესპონდენტის, ავტორის/ადრესატის, მიზნის ამოცნობას;
 - მთავარი საკითხის/პრობლემატიკის განსაზღვრას;
 - შეფასებების, თვალსაზრისების ამოცნობას;
 - ფაქტების/მოვლენების დაკავშირებას სათანადო თვალსაზრისებთან.
6. ტექსტის ენობრივი მახასიათებლების გაგება, რაც გულისხმობს:
 - იმ ფრაზებისა და სიტყვების ამოცნობას, რომლებიც ეხმარება მკითხველს, გამიჯნოს ფაქტი მოსაზრებისაგან/თვალსაზრისისაგან;
 - უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობათა ამოცნობას ნაცნობ ელემენტებზე (კონტექსტი, სიტყვის ნაცნობი ფუძე, აფიქსები და სხვა) დაყრდნობით.